

**საქართველოს
ტრანსპლანტოლოგთა
ასოციაცია 10 წლისაა
(1997-2007)**



**GEORGIAN ASSOCIATION
OF TRANSPLANTOLOGISTS
IS 10 YEARS OLD
(1997-2007)**



რა გაკეთდა საქართველოში ტრანსპლანტაციის მიმართულებით? თანამედროვე მდგომარეობა და პრობლემები

საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია 10 წლის წინ, 1997 წლის 31 იანვარს ჩამოყალიბდა. ასოციაციის დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა ექიმმა და ოთხმა სამედიცინო ორგანიზაციამ.

ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ორგანოთა გადანერგვის განვითარებას. დღიდან დაარსებისა მას ხელმძღვანელობს პროფესორი გია თომაძე.

ასოციაცია მდებარეობს თბილისში, ქალაქის I საავადმყოფოს ტერიტორიაზე, ზოგადქირურგიული კლინიკის ბაზაზე.

ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობის შესახებ შეიძლება იხილოთ მის ვებგვერდზე:
www.gat.com.ge.

WHAT HAS BEEN DONE IN TRANSPLANTATION IN GEORGIA? CURRENT SITUATION & PROBLEMS

The Georgian Association of Transplantologists was founded 10 years ago, on January 31, 1997. More than 50 doctors and four medical organizations participated in the foundation.

The aim of the association is to support the development of organ transplantation in Georgia. The Association has been headed by professor Gia Tomadze since the day of its foundation.

The Association is located in Tbilisi, on the territory of City Hospital 1, General Surgery Clinic.

The information concerning the activity of the Association is available on its web-page:
www.gat.com.ge



**ALISA
KIREULISHVILI**

**KRISTINE
ALKHAZOVI**

**TINA
JIKURASHVILI**

**GIA
TOMADZE**

**TAMILA
CHEKHANI**

**NAIRA
KITOSHVILI**

**NINO
KARANADZE**

საინფორმაციო ბანკი - ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურა

ასოციაციის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ბანკი ტრანსპლანტაციის ნაციონალური რეგისტრატურა. იგი შეიქმნა 1997 წელს. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო ექიმი ანი დევნოსაძე. 2003 წლიდან მას ალისა კირეულიშვილი ხელმძღვანელობს.

საინფორმაციო ბანკის შემადგენლობაში შედის 5 რეგისტრატურა:

1. ორგანოგადანერგილ პაციენტთა;
2. გადანერგვის მომლოდინეთა;
3. ორგანოს დონორობაზე თანხმობის
4. ორგანოს დონორობაზე უარის
5. ცოცხალ დონორთა.

საინფორმაციო ბანკი მონიტორინგს უწევს აღრიცხვაზე მყოფ პაციენტთა და დონორთა მდგომარეობას, რომელიც რეგისტრირდება სპეციალურად შექმნილ მონაცემთა კომპიუტერულ ბაზაში (www.gat.com.ge). აქ წარმოებს წლის განმავლობაში შესრულებულ ოპერაციათა რაოდენობრივი და კლინიკური ანალიზი, სათანადო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, სამედიცინო დაზღვევის პოლისების შექმნა და გაცემა. შექმნილია ორგანოგადანერგილი პაციენტის დღიური, წარმოებს ამბულატორიულ პაციენტთა ლაბორატორიული და სხვა სამედიცინო პარამეტრების მონიტორინგი, სახელმწიფოს მიერ შეძენილი იმუნოსუპრესიული მედიკამენტების (ნეორალი, სელსეპტი, მიფორტიკი და სხვ.) გაცემა, კონტროლი და აღრიცხვა.

ორგანოგადანერგილ პაციენტებს და მათ დონორებს ჩვენს ასოციაციაში უფასოდ უტარდებათ გარკვეული ლაბორატორიული ანალიზები (სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, კრეატინი-

NATIONAL TRANSPLANT REGISTRY (NTR) - ONE OF THE MAIN STRUCTURE OF THE ASSOCIATION

NTR is one of the main subdivisions of the Association, which was created in 1997 headed by Dr. Ani Devnosadze until 2003 and by Dr. Alisa Kireulishvili since 2003.

The NTR contains 5 registries:

1. Transplant registry;
2. Waiting list;
3. Donor registry;
4. Donor refusal registry;
5. Living donor registry.

Using the NTR electronic data base (www.gat.com.ge) the transplant patients follow-up has been carried out, as well as statistical and clinical analysis of performed transplantations. In cooperation with relevant institutions the medical insurance policies has been issued. The monitoring of laboratory and other medical parameters has been done in a "Diary of patients with transplanted organs", We perform control and registry of the immunosuppressive medications (Neoral, Cellcept, Myfortic etc.), purchased by Government.

The certain laboratory investigations such as CBC, urinalysis, creatinine, urea, etc. are free of charge for the patients with transplanted organs and their donors.

According to the data of 31 December 2007, there are three ca-


ნინი, შარდოვანა და სხვა).

2007 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ასოციაციის საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე პაციენტთა სამი კატეგორიაა: თირკმელგადანერგილები (86 პაციენტი), ღვიძლგადანერგილები (3 პაციენტი) და რქოვანაგადანერგილები (119 პაციენტი).

categories of patients registered in the data bank of the Association: those with transplanted kidneys (86 patients), those with transplanted liver (3 patients) and those with transplanted cornea (119 patients).

ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე მყოფ პაციენტთა რაოდენობა (დეკემბერი 2007 წელი)

The number of Patients in the Transplantation Registry (December 2007)




10 წლის განმავლობაში საინფორმაციო ბანკში აღრიცხვაზე მყოფ ორგანოგადანერგილ პაციენტთა რაოდენობამ 4-ჯერ მოიმატა: 1995 წელს იყო 20, 2007 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით 89.

The total number of the transplanted patients during the last 10 years period was increased for 4 times by 2007. In 1995 it was 20, in 2007 became 89.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, საშუალოდ 2-3 საზღვარგარეთ ნაოპერაციები ავადმყოფი ადის აღრიცხვაზე რასაც ვითვალისწინებთ მათი მედიკამენტური უზრუნველყოფისათვის საჭირო გათვლის წარმოებისას.

It should be mentioned that annually there are about 2-3 patients registered who were operated for abroad, which we take into consideration when carrying out calculations for medicament provision.

ორგანოგადანერგილთა დინამიკა საქართველოში
Number of organ transplanted patients in Georgia



საქართველოში შესრულებული გადანერგვების რაოდენობა

2000 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი ორგანოთა გადანერგვის შესახებ, რომელიც ინფორმირებულ თანხმობაზეა დაფუძნებული და რომლის მიხედვით ორგანოს დონორი შეიძლება იყოს გენეტიკური ნათესავი ან მეუღლე. 2002 წელს მიღებული ცვლილებით ორგანოს დონორი შეიძლება იყოს არანათესავი პიროვნებაც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მონაწილეობს ორგანოთა გაცვლის პროგრამაში.

საქართველოში დღეისათვის წარმოებს ორგანოებიდან თირკმლის, ხოლო ქსოვილებიდან - რქოვანას და ძვლის გადანერგვა. სახელმწიფო პროგრამით ყოველწლიურად ფინანსდება თირკმლის 9-10 გადანერგვა.

საქართველოში თირკმლის პირველი გადანერგვა განხორციელდა 1977 წელს ქირურგიის ინსტიტუტის ბაზაზე მოსკოველ კოლეგებთან ერთად. მას შემდეგ დღემდე თირკმლის გადანერგვის 87 ოპერაციაა შესრულებული. მათგან უროლოგიის ეროვნულ ცენტრში (დირ.

NUMBER OF PERFORMED TRANSPLANTATIONS IN GEORGIA

In 2000 the Parliament of Georgia has passed a law on organ transplantation, which is based on informed consent. According to the law, an organ donor can be a genetic relative or a spouse. The amendment were received in 2002, following to what a donor of an organ can be a person who is non relative, but involved in the organ exchange program .


Currently, kidney, cornea and bone transplantation is performed in Georgia. Each year 9-10 kidney transplantations are financed by the state program.

In 1977, together with the colleges from Moscow the first kidney transplantation was performed at the Institute of Surgery. Since then, 87 kidney transplantation operations have been carried out until now. Among them 59 operations were done in the National Center of Urology (Dir. Prof. L.Mana-

საქართველოში შესრულებული გადანერგვების რაოდენობა სულ 87

Number of performed transplantations in Georgia

■ Surgery Center ■ Urology Center




პროფ. ლ. მანაგაძე, თირკმლის გადანერგვის ჯგუფის ხელ-ი მ.მ.დ. ა. ჩხოტუა) - 59 ოპერაცია. ხოლო ქირურგიის ეროვნულ ცენტრში (დირ. პროფ. ბ. მოსიძე, ტრანსპლანტაციის განყოფილების გამგე, მ.მ.დ., ე. ღონღაძე) - 28 ოპერაცია

განვლილ პერიოდში, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად, მნიშვნელოვანი დადებითი დინამიკა აღინიშნება როგორც თირკმლის გადანერგვის შემდგომი ტექნიკური გართულებების, ისე რეციპიენტთა ლეტალობის თვალსაზრისით. თუ მათ განვიხილავთ ეტაპობრივად, ვნახავთ, რომ 1995-99 წლებში ოპერაციასთან დაკავშირებული ლეტალობის მაჩვენებელი შეადგენდა 27%-ს, მაშინ როცა 2000-2007 წლებში შესაბამისი მაჩვენებელი 5%-მდე შემცირდა.

gadze, head of kidney transplantation group Prof.A. Chkhotua), and 28 operations in the National Centre of Surgery (Prof. B. Mosidze, Head of transplantation department Dir. Prof. E. Gongadze).

In the recent period, along with the increase of experience, a significant positive dynamics had been observed in the field of technical complications after kidney transplantation, as well as from the point of view of the lethality of the recipients. If we consider them by stages, we shall see that in 1995-99 the indicator of lethality after operation was 27%, while in 2000-2007 it decreased till 5%.

გადანერგვის და პოსტოპერაციული ლეტალობის შედარება Comparison of transplantation and postoperative lethality



ჰუმანიტარული დახმარება

გასული 10 წლის განმავლობაში ასოციაციის მიერ განეული იქნა 100 ათასამდე აშშ დოლარის ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც გამოიხატა ორგანოგადანერგვილი პაციენტებისათვის ასოციაციის მიერ მოპოვებული მედიკამენტების (ნეორალი, სელსეპტი, მიფორტიკი) უფასოდ და-

HUMANITARIAN AID

Association provided humanitarian aid in the amount of up to 100 000 USD for the last ten years, which was a free distribution of the medicaments (Neoral, Sulsept, Myfortic) acquired by the Association to the patients with transplanted organs.

რიგებაში.


ჰუმანიტარული დახმარების შემცირება განპირობებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სტაბილიზაციითა და შესყიდვებში ჩავარდნების არარსებობით.

აღსანიშნავია, რომ ჰუმანიტარულად განაწილებული იმუნოსუპრესიული მედიკამენტების ძირითადი დონორები არიან **NOVARTIS** და **ROCHE**, ხოლო მედიკამენტები ჩამოტანილი იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (ფინეთი, უკრაინა, რუსეთი, პერუ და სხვა).

The decrease of humanitarian aid is determined by the stabilization of state budget and the absence of „lapses” in medicine purchase process.

It is important to note that the main part of immunosuppressive medications are provided by „NOVARTIS” and „ROCHE”, and are sent from different countries (Finland, Ukraine, Russia, Peru, etc).

ჰუმანიტარული დახმარების მოცულობა (სულ 99 567 დოლ.)
The volume of humanitarian aid (Total 99 567 USD)



**ორგანოგადანერგვითა
ბანაკი შვეიცარიის
ალპებში**

საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციას უკვე 6 წელია მჭიდრო ურთიერთობა აქვს შვეიცარიაში მდებარე ბანაკთან, სადაც იკრიბებიან სხვადასხვა ქვეყნიდან 16 წლამდე ასაკის ორგანოგადანერგი-

**CAMP FOR ORGAN
TRANSPLANTED
ADOLESCENTS IN SWISS ALPES**

The last 6 years GAT actively cooperates with the camp in Switzerland where the transplanted adolescents up to 16 years are gathered. The association is

ლი ბავშვები. ასოციაცია თავად პოულობს სპონსორებს და ნაოპერაციებ ბავშვებს აგზავნის შვეიცარიაში. ამ ხნის განმავლობაში 5 ბავშვს მიეცა საშუალება დაესვენათ ზღაპრულ ალპებში. 2006 წელს კი 16 წლის ორმა გოგონამ ბანაკში გამართულ სათხილამურო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და სამშობლოში მედლითაც დაბრუნდა.

ამ უნიკალური ბანაკის ხელმძღვანელი, ლიზ შიკი, თავადაც ორგანოგადანერგილია და ცდილობს, მომავალი ცხოვრებისთვის სტიმული იმ ბავშვებსაც მისცეს, რომლებმაც თავიანთი ასაკის კვალობაზე ასეთი სერიოზული სტრესი და ტრავმა გადაიტანეს.

looking for the sponsors and sends the adolescents to this camp. The 5 teenagers were sent to the camp in total. In 2006 16 years old 2 girls took part in the skiing competition held in Alpes and returned home with the prize.

The manager of the camp is Ms. Liz Schick, who is liver transplanted and tries to encourage the children who were stressed so much in early ages.



ქსოვილოვანი ტრანსპლანტაციის ბანკი

ასოციაციაში 2007 წელს ჩამოყალიბდა ქსოვილოვანი ტრანსპლანტაციის ბანკი, რომლის მიზანია ერთის მხრივ კოორდინაცია გაუწიოს, ხოლო მეორეს მხრივ უშუალოდ განახორციელოს საქართვე-

TISSUE TRANSPLANT BANK

In 2007 The Bank of Tissue and Cell Transplantation has been created, aiming to coordinate and perform tissue and cell transplantation in Georgia.

ლოში ქსოვილისა და უჯრედების გადანერგვა.

ბანკს ხელმძღვანელობს მედიცინის დოქტორი თინა ჯიქურაშვილი, სამედიცინო დირექტორია ასოცირებული პროფესორი ნინო კარანაძე. გაფორმებულია ხელშეკრულებები მსოფლიოს სხვადასხვა ქსოვილოვან ბანკებთან. ამ ეტაპზე ბანკის პრიორიტეტია რქოვანების იმპორტი.

რა ეტაპზეა დღეს გვამური დონაცია საქართველოში?

საქართველოში ორგანოთა ტრანსპლანტაციის შესახებ 2000 წელს მიღებული კანონის თანახმად გადასანერგად გარდაცვლილის ორგანოების გამოყენებაც დასაშვებია, თუმცა დღემდე გვამიდან არცერთი გადანერგვა არ განხორციელებულა. ამის ძირითად მიზეზს მოსახლეობის ნეგატიური წინასწარგანწყობა წარმოადგენს გვამის ორგანოების დონაციის მიმართ, რისი შეცვლაც ხანგრძლივ შრომას მოითხოვს და რომლის შესრულებაც მხოლოდ მასშედის საშუალებების აქტიური მონაწილეობით და მხარდაჭერითაა შესაძლებელი.

გვამი დონორის შემთხვევაში ოპტიმალურად ითვლება თავის ტვინის სიკვდილით გარდაცვლილის ორგანოები, რამეთუ მათში სისხლის მიმოქცევა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, რაც დადებითად მოქმედებს გადანერგვის შემთხვევაში ტრანსპლანტატის ფუნქციონირების ხანგრძლივობაზე.

საქართველოში თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმები 2000 წელს შემუშავდა, ხოლო ცნება მის შესახებ საქართველოს კანონში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ 1997 წლიდანაა ჩადებული.

2003-2006 წწ-ში ჩვენ შევისწავლეთ თბილისის 4 ცენტრალური კლინიკის რეანიმაციული განყოფილებების ავადმ-

The director of the bank is Dr. Tina Jikurashvili, medical director – associated professor Nino Karanadze.

Current priority of the bank is importing corneas.

WHERE WE ARE REGARDING CADAVERIC DONATION IN GEORGIA?

According to the law of Georgia on organ transplantation of 2000 the live related donation as well as cadaver donation is allowed. But no cadaver donors have been used for transplantation yet.

The main reason for this is negative approach of population to cadaveric donation, which is time consuming process and needs active involvements of mass media.

In this respect the patients with diagnosis of brain death are the best donors for cadaveric transplantation. The reason for that is the retained blood circulation which has a positive effect on graft's postoperative functioning.

The criteria of brain death have been worked out in 2000, and it's definition has been included in the law on Health Care of Georgia since 1997.

In 2003-2006 we have studied the case histories of the patients of the intensive care departments of 4 central clinics of Tbilisi. As a result we have revealed about 50 „potential

ყოფთა ისტორიები. კვლევის შედეგად გამოვლინდა 50 პოტენციური დონორი, რომელთა მიმართ გამოთქმული იყო ეჭვითავე ტვინის სიკვდილზე.

მიუხედავად ამისა, საქართველოში არ იყო თითქმის არცერთი შემთხვევა თავის ტვინის სიკვდილის სამართლებრივი დიაგნოზისა. აღნიშნული გულისხმობს მის დადასტურებას ორჯერ, მინიმუმ 12 საათიანი ინტერვალით, კლინიკური გასინჯვისა და ინსტრუმენტული გამოკვლევის (ეეგ ან ტრანსკრანიალური დოპლერი) საფუძველზე.

2007 წლიდან ჩვენ შევქმენით ექიმების სპეციალიზირებული მობილური ბრიგადა, რომლის მიზანია თავის ტვინის იურიდიულად დასაბუთებული დიაგნოზის დასმა.

18 თვის განმავლობაში გაისინჯა თავის ტვინის სიკვდილზე ეჭვის მქონე 12 პაციენტი. თავის ტვინის სიკვდილი დაფიქსირდა 2 შემთხვევაში.

დღეისთვის ჯერ კიდევ არსებობს იმის საჭიროება, რომ ამ დიაგნოზს მიეჩვიოს როგორც ექიმთა საზოგადოება, ისე მოსახლეობა.

საზოგადოების დამოკიდებულება ორგანოთა გადანერგვის მიმართ

ორგანოთა გადანერგვა წარმოადგენს მედიცინის ერთერთ იმ სფეროს, რომლის განვითარებაც წარმოუდგენელია საზოგადოების ფართო ფენების მხარდაჭერისა და მათი დადებითი წინანსწარგანწყობის გარეშე.

ამ მიზნით ჩვენი ასოციაციის მიერ ჩატარდა რამოდენიმე სოციალური გამოკითხვა. მათი მიზანი იყო შევესწავლა მოსახლეობის წინასწარი განწყობა ორგანოს დონაციის, გადანერგვის და ე.წ. ჯვარედინი დონორობის მიმართ. შესწავლილი იქნა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა დამოკიდებულება ამ საკითხებთან მიმართებაში. სულ გამოკითხული იქნა 500-მდე რესპონდენტი. მათგან სამედიცინო სფეროს წარმომადგე-

donors”, with suspected diagnosis of brain death.

However, there was no cases of official, legal diagnosis of brain death in Georgia. The criteria for this diagnosis includes the clinical and instrumental approval twice, with minimum of 12 hour intervals (EEG or transcranial doppler).

Since 2007 the mobile team of doctors has been created, who are involved in evaluation of official diagnosis of brain death.

During the last 18 months 12 patients with suspected diagnosis of brain death were tested and in 2 cases this diagnosis was proved officially.

The medical professionals as well as the population need to change their attitude and become adapted to this diagnosis.

ATTITUDE OF THE SOCIETY TO ORGAN TRANSPLANTATION

Organ transplantation represents one of those fields of health care, which cannot be developed without the wide participation of public and it s positive attitude to the problem.


For this purpose our Association has carried out several social polls. Their aim was to study the attitude of society, as well as different religious followers, to organ donation, transplantation and to so-called crossdonation”. Up to 500 respondents have been questioned. Among them 240 were medical professionals and 150 were the followers of

ნელი იყო 240, სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი 150.

ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ გარდაცვალების შემდეგ ორგანოთა დონაციაზე გამოკითხულთა მხოლოდ 54%-ია თანახმა, 30% წინააღმდეგია, 16% კი თავს იკავებს.

different religions .

The poll revealed that only 54% of those questioned agree to the donation of organs after death, and 30% are against it. 16% refrained from answering.




გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქართული მართლმადიდებელი მრევლი ცოცხალი დონაციის მიმართ უფრო პოზიტიურადაა განწყობილი (69%), ვიდრე გვამური დონაციის მიმართ (36%). ამ მხრივ, საწინააღმდეგო მარჯვენებლებია კათოლიკეები; მათი 82% მხარს გვამურ დონაციას უჭერს, ხოლო 64% - ცოცხალ დონაციას.

So, Georgian Orthodox believers have more positive attitude to live donations (69%) than to cadaver donations (36%).

82% of Catholics are for cadaver donations, and 64% for live donations.

სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა დამოკიდებულება ცოცხალი დონაციის მიმართ
Attude of the representatives of various religions in respect life donation



საერთო ჯამში, კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები ორგანოთა გადანერგვის მიმართ უფრო პოზიტიურ დამოკიდებულებას იჩენენ, ვიდრე მართლმადიდებლები. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელთა 100% გვამურ დონაციას უჭერს მხარს, მაშინ, როცა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მხოლოდ 18% არის ამ ტიპის ოპერაციების მომხრე.

აღნიშნული კვლევები მოხსენებების სახით იყო წარდგენილი სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე, ხოლო ჯვარედინ დონორობასთან დაკავშირებით მიღებული კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო სათანადო კანონდებლობის შემუშავებას.

ამჟამად მიმდინარეობს სოციალური კვლევა, რომლის რესპონდენტებსაც წარმომადგენენ საქართველოში მცხოვრები ორგანოგადანერგილი პაციენტების ცოცხალი ნათესავი დონორები. ამ კვლევის შედეგები 2008 წელს გამოქვეყნდება.

კანონმდებლობა და თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

გასული 10 წლის განმავლობაში ასოციაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა კანონშე მოქმედებითი საქმიანობა.

ჯანდაცვის სამინისტროს საკანონმდებლო ჯგუფთან (გ. კიკნაძე, გ. ჯავაშვილი, გ. სიმონია) და საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა შესწორებები და დამატებები ორგანოთა ტრანსპლანტაციის შესახებ საქართველოს კანონის მომზადების პერიოდში. ასოციაციის ძალებით შემუშავდა ორგანოთა ტრანსპლანტაციის კანონით გათვალისწინებული ყველა კანონქვემდებარე აქტი, 2000 წელს ასოციაციის აქტიური მონაწილეობით შემუშავდა თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმები, რომელიც 2001 წელს დამტკიცებული იქნა საქართვე-

The representatives of Catholic Church accept the organ transplantation more positively than the Orthodox believers. The correspondance between the representatives of the Orthodox and the Catholic Church vary to a great extent: 100% of the Catholics are for deceased donations, and only 18% of the Orthodox Church is for such type of operations.

The outcomes of these researches were reported at various international forums, and has become the basis for working out the relevant legislation.

At present social research is carried out, the respondents of which are the live relative donors of the patients with transplanted organs residing in Georgia. The results of the research will be published in 2008.

ELABORATION OF LEGISLATION AND COOPERATION WITH INTERNATIONAL ORGANIZATIONS

For the last 10 years one of the main directions of the Association was elaboration of the legislation. In close cooperation with the legislative group of the Ministry of Health (G. Kiknadze, G. Javashvili, G. Simonia) and the Health Committee of Parliament we have worked out corrections and amendments during the preparation of the law of Georgia on organ transplantation. The Association worked out all the law-abiding acts stipulated by the law on organ transplantation.

In 2000 with the active participation of the Association, the criteria of brain death were worked out, which were approved by the order of the President in 2001.

ლოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

იმავ ენოს შემუშავდა დებულებები ტრანსპლანტაციის ექსპორტ - იმპორტის, ტრანსპლანტაციის საბჭოს, საინფორმაციო ცენტრის შესახებ, რეკომენდაციები ჯვარედინი დონორობის პრინციპის შესახებ და ა.შ.

ჩვენი ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ევროსაბჭოს ტრანსპლანტაციის დარგის ექსპერტთა კომიტეტი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული ბიურო, ტრანსპლანტოლოგთა ევროპული და საერთაშორისო ასოციაციები.

1999 წელს ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა კავკასიის ქვეყნების ტრანსპლანტოლოგთა I კონგრესი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს 8 ქვეყნის წარმომადგენლებმა (სომხეთი, რუსეთი, ინგლისი, საბერძნეთი, აზერბაიჯანი, ჩეხეთი, ისრაელი, საქართველო). კონგრესის მასალები ნაბეჭდი სახით გამოიცა.

ასოციაციის ინიციატივით საქართველო შეყვანილი იქნა ევროპის ტრანსპლანტაციური რუკის ნევრ ქვეყანად და 2000 წლიდან, ყოველწლიურად საქართველოს აქტივობა ამ მიმართულებით ისახება ევროსაბჭოს ეგიდით მომზადებულ ჟურნალში.

ასოციაციის ინიციატივით 2002 და 2006 წლებში ჩატარდა სემინარები თავის ტვინის სიკვდილის შესახებ, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წამყვანი კლინიკების ნევროლოგებმა და რენანიმატოლოგებმა.

2005 წელს ასოციაციის ინიციატივით და ევროსაბჭოს ეგიდით საქართველოში ჩატარდა ტრანსპლანტაციის ორგანიზაციული პრობლემებისადმი მიძღვნილი რეგიონული სემინარი, რომელშიც, საქართველოს გარდა, მონაწილეობდნენ წარმომადგენლები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან. სემინარის შედეგების საფუძველზე მომზადდა ევროსაბჭოს ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე ქვეყანათა მთავრობების მიმართ.

In the same year provisions on export-import of transplant organs, Transplant Council, Information Center were worked out and recommendations on the principales of crossover donation have been prepared.

Our Association actively cooperates with international organizations such as the Committee of the Experts of Council of Europe in transplantation, the European Board of the WHO, the European and International IAssociations of transplantologists.

In 1999 the 1st Congress of the Transplantologists of the Caucasian countries was organized by the association, and the representatives of 8 countries participated (Armenia, Russia, England, Greece, Azerbaijan, Czech Republic, Israel, Georgia). The congress materials were published.

By the initiative of the Georgian Association of Transplantologists Georgia was entered as a member state of the European transplantation map and since 2000 the activity of Georgia in this direction has been reflected in the journal published by the Council of Europe.

Association organized workshops on brain death held in 2000 and 2006, with participation of neurologists and ICU doctors from the leading clinics of Georgia.

In 2005 by the initiative of the Association, and under the aegis of the CoE, a regional workshop dedicated to the organizational problems was held in Georgia, in which, apart from Georgia, participated the represen--- tatives of Armenia, Azerbaijan, and Ukraine. On the basis of the results of the workshop recommendations of the CoE experts Committee for the governments of the participating countries were prepared.

აღნიშნული რეკომენდაციები დაედო საფუძვლად საქართველოში ტრანსპლანტაციის განვითარების ნაციონალურ პროგრამას.

2007 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ჩვენს ასოციაციასა და ჟენევის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს შორის, რომლის მიზანია საქართველოში ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამის დაწყება.

ჩვენი ასოციაციის აქტივობის დამსახურებათ მიგვაჩნია ევროსაბჭოს 2007 წლის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ორგანოთა დონაციისა და ტრანსპლანტაციის მე-12 ევროპული დღე საქართველოში ჩატარდება 2010 წელს.

ჩვენი გეგმები და უახლოესი მიზნები

ჩვენს ასოციაციას, მიმდინარე ეტაპზე, ფუნქციონირების მეორე ათწლეულის ძირითად მიმართულებად მიაჩნია საქართველოში ტრანსპლანტაციის განვითარების ნაციონალური პროგრამის დამტკიცება სახელმწიფო დონეზე. იმედი გვაქვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები მხარს დაუჭერენ ევროსაბჭოსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული ბიუროს 2005-2006 წლების რეკომენდაციებს რათა შეიქმნას საქართველოში ორგანოთა დონაციისა და ტრანსპლანტაციის განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

აუცილებელია გადაიდგას რეალური და კონკრეტული ნაბიჯები გვაშურობდეს დონაციის პროგრამის ასამუშავებლად;

საჭიროა ჩვენი მუშაობა გადავიდეს ახალ ეტაპზე. იგი უნდა გახდეს უფრო გლობალური, მოიცვას როგორც ორგანო, ისე ქსოვილოვანი და უჯრედული ტრანსპლანტაციები. საჭიროა ქსოვილოთა ტრანსპლანტაციური ბანკების ამუშავება, ძვლის ალოტრანსპლანტაციის ბანკის შექმნა. კონკრეტული

The given recommendations became the basis of the national program of the development of transplantation in Georgia.

In 2007 an agreement between our Association and the Geneva University Hospital was made. Its aim is the initiation of liver transplantation program in Georgia.

We consider it to be the achievement of our organization that the CoE decided to held „the 12th European day of organ donation and transplantation” in Georgia in 2010.

OUR PLANS AND THE NEAREST GOALS

At the present stage our Association considers the establishment of the national program for the development of transplantation in Georgia to be the main direction of the second decade of its functioning.

We hope that the relevant Governmental bodies will support the recommendations of the CoE and WHO of 2005-2006 for creation of state program for the development of organ donation and transplantation.

Real and concrete steps are necessary to start cadaveric donation programm.

Our work has to go over to a new stage. It must become more global, including the organ, as well as tissue and cell transplantations. The tissue transplantation banks must be created. Concrete steps must be taken in the direction of the development of other organs, tissues and cells apart

ნაბიჯები უნდა გადაიდგას თირკმლის გარდა სხვა ორგანოების, ქსოვილებისა და უჯრედების გადანერგვის მიმართულებითაც (ღვიძლი, რქოვანა, ღეროვანი უჯრედები), ამ მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია ზრუნვა როგორც სათანადო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად, ისე შესაფერისი კლინიკური ცოდნისა და გამოცდილების დასაუფლებლად.

ასოციაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია უმასპინძლოს ორგანოთა დონაციისა და ტრანსპლანტაციის მე-12 ევროპულ დღეს, რომლის ჩატარება ევროსაბჭოს ეგიდით 2010 წელსაა დაგეგმილი. აღნიშნულთან დაკავშირებით ევროსაბჭოში წარდგენილია ჩვენი მთავრობის ოფიციალური წერილი.

2008 წლიდან აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება ჟენევის საუნივერსიტეტო კლინიკასთან, რათა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ღვიძლის გადანერგვის პროგრამის დასაწყებად.

2008 წლის 24-26 ოქტომბერს დაგეგმილია ჩატარდეს ორგანოთა დონაციისა და ტრანსპლანტაციის I ნაციონალური დღე და კავკასიაში ტრანსპლანტაციის კოორდინატორთა მე-2 შეხვედრა.

from kidney (a liver, a cornea, stem cells). For this purpose we consider it necessary to create a relevant material and technical base to develop the necessary clinical knowledge and experience.

One of the main concerns of the Association is to host “The 12th European day of organ donation and transplantation”, which is planned to be carried out under the aegis of the CoE in 2010. In this connection the official letter of our government has been submitted to the CoE.

Close cooperation with Geneva University Clinic continues in order to make concrete steps for the commencement of the program for liver transplantation.

In October 24-26. 2008 we plan to hold 1st National Day of Organ Donation and Transplantation in conjunction with 2nd meetin of Caucasian transplant Coordinators.

**საქართველოში ორგანოთა
გაანერგვის და ღონისძიებასთან
დაკავშირებული საკითხებით
დაინტერესების შემთხვევაში
მთხოვთ მიმართოთ საქართველოს
ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის
საინფორმაციო ბანკს:**

**თბილისი, ნინოწმის ქუჩა 9,
I საავადმყოფოს ტერიტორია,
ზოგადმედიკალური კლინიკის
ბაზა.**

**ტელ/ფაქსი: 77-18-19;
ელფოსტა:**

**giatomadze@global-erty.net,
www.gat.com.ge.**

**IN CASE OF YOUR INTEREST
TOWARDS ORGAN DONATION
AND TRANSPLANTATION
IN GEORGIA, PLEASE
REFER TO THE GEORGIAN
ASSOCIATION OF
TRANSPLANTOLOGISTS:**

**9 TSINANDALI STR. TBILISI,
CITY HOSPITAL N1,
GENERAL SURGERY
CLINIC**

**TEL/FAX: 77-18-19;
E-MAIL:**

**giatomadze@global-erty.net
web-page: www.gat.com.ge**

სელსევიტი

მიკოფენოლატის მოფატილი

პროგრესი
იმუნოსუპრესიასში

ზრუნავს თითოეული თირკმლის გადარჩენისთვის

ღამათვაიტი ინფორმაციის მიღება
შესაძლებელია:
კოფიან-ლა როვის
ნარკომადგენლობა საქართველოში
ტელ.: 389299

